

ორგანული საკვების რეალიზაციის ზრდა

ექსპერტთა დისკუსია ძვირად ღირებული ნატურალური (ორგანული) პროდუქტების გამოყენების დადებით და უარყოფით მხარეებზე

დამცველი

დღეისათვის, დიდ ბრიტანეთში საცალო მოვაჭრეების მიერ ნატურალური (ორგანული) საკვების რეალიზაციამ £*1.12 მილიარდ მეტი შეადგინა. ნატურალური (ორგანული) საკვების ბაზარი ორმაგად ზრდადია სხვა პროდუქტების ბაზრის დონესთან შედარებით. **Soil Association**-ის მიერ მოწოდებული მონაცემები გვიჩვენებს, რომ გასულ წელს ნატურალური (ორგანული) საკვებით ვაჭრობა გაიზარდა 10%-ით, ხოლო სუპერმარკეტების მიერ რეალიზებული საკვების რაოდენობა შემცირდა 1%-ით. აქედან ჩანს, რომ მომხმარებლები უპირატესობას ანიჭებენ პირველადი წყაროებიდან შეძენილ პროდუქციას. ამ სექტორში რეალიზაციის მაჩვენებელი გაიზარდა 16%-ით. დღეისათვის, ნატურალური (ორგანული) საკვები გაცილებით ძვირია. ჰერბიციდების მოხმარების შემცირება მიუთითებს იმაზე, რომ ფერმერებს უწევთ სარეველა მცენარეების ხელით ამოძირკვა. ასეთ პროდუქტებზე ფასები ყოველდღიურად მატულობს.

მეცნიერები გაიყვნენ ორ მოწინააღმდეგე მხარედ. ერთი მხარე შეისწავლის პესტიციდების ნარჩენების მოქმედების ჯამად ეფექტს. ისინი აღნიშნავენ, რომ ბუნებრივ საკვებს უფრო მეტი კვებითი ღირებულება გააჩნია. მეორე მხარე თვლის, რომ მნიშვნელოვანი განსხვავება არ არსებობს. კვების პროდუქტების სპეციალისტები არ უარყოფენ, რომ ზოგიერთი საკვები პროდუქტი შეიცავს პესტიციდების ნარჩენებს, მაგრამ მათი მტკიცებით ეს არ სცილდება დაშვებულ ნორმებსა და უსაფრთხოების ზღვარს. **Soil Association**-ი აცხადებს, რომ პესტიციდების ნარჩენების გრძელვადიანი მოქმედების შედეგები წინასწარ უცნობია. განვიხილოთ ტიპური სასურსათო კალათა.

ქათამი – ტრადიციული წესით გამოზრდილი მთლიანი ქათამი - £9.98; დიდი მთლიანი ქათამი - £4.28 **Tesco** *

”ორგანული საკვებისა და ფერმერული მეურნეობის შესახებ” **Soil Association**-ის მოხსენების თანახმად, 2004 წელს დაახლოებით 4.5 მილიონი ტრადიციული წესით გამოზრდილი ქათამი გაიყიდა. მათი იმპორტირება თითქმის არ ხორციელდება. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ მომავალ 2004-2005 წლებში ასეთი მეურნეველობა გახდება ბიოორგანული მეურნეობის ყველაზე სწრაფად მზარდი სფერო.

მომხრე: დიდ ბრიტანეთში ქათმებს ძირითადად სამრეწველო პირობებში აშენებენ. ფრინველები მჭიდროდ არიან განთავსებულნი დახურულ შენობებში არსებულ გალიებში. ისინი ყოველდღიურად იღებენ ანტიბიოტიკებს. ანალოგიურ პირობებში აშენებენ ღორებსაც და ამიტომ მათ დაკარგული აქვთ საკვების ბუნებრივად მოპოვების უნარი. ტრადიციული წესით გამოზრდილ ქათმებსა და ღორებს აქვთ შენობის გარეთ ყოფნის საშუალება. თავისუფლად მოშენების მეთოდი ნიშნავს, რომ ფრინველი თავისი არსებობის ნახევარზე მეტს ღია სივრცეში ატარებს. ეს არჩევანი მათზე არ არის დამოკიდებული. თავისუფლად მოშენების ტრადიციული მეთოდი გულისხმობს უფრო მეტ ექსტენსიურ ღია სივრცეს და მცირერიცხოვან გუნდებს. **SA**-ით

სერთიფიცირებულია ისეთი ქათამი, სადაც გუნდში 2000 ფრინველზე ნაკლებია. თუმცა რეკომენდირებულია 500 ფრინველი. თავისუფლად მოშენებისას შესაძლებელია გუნდში ფრინველების რაოდენობა აღწევდეს 12 000 ფრთას, ხოლო სამრეწველო პირობებში - 40 000 -ს. ყველაფერი რაც SA-ით არის სერთიფიცირებული, მარკირებული უნდა იყოს UK5 ნიშნით.

მოწინააღმდეგე: ბევრი ადამიანი მიიჩნევს, რომ კონკრეტული საქმისთვის გაწეული ხარჯები ნატურალურ (ორგანულ) სტატუსზე უფრო მნიშვნელოვანია. *“The Chicken Shrink”*-ის ავტორის ნატალია სავონას აზრით, ხორცის ყიდვა შესაძლებელია ფერმერთა ბაზარზე, სადაც ფერმერი მოგაწვდით ინფორმაციას, თუ როგორ გაზარდა ქათამი და რა მანძილიდან ჩამოიყვანა გასაყიდად. თუ ვერ მოხვდებით ფერმერთა ბაზარში, მაშინ შესაძლებელია ადგილობრივ ყასაბსაც მოვთხოვოთ ინფორმაცია.

ძროხისა და ცხვრის ხორცი – ერთი კილო ნატურალური ძროხის ხორცი £8.69. ერთი კილო ძროხის ხორცი £5.15 *Tesco* *.

მომხრე: მაშინ როცა დიდ ბრიტანეთში არსებობს ცხვრისა და საქონელის თავისუფალი შენახვის ტენდენცია, სამრეწველო პირობებში გამოზდილი ბატკნები საკვებიდან ჯერ კიდევ იღებენ პესტიციდების გარკვეულ დოზებსა და ანტიბიოტიკებს დაავადებების საწინააღმდეგოდ. შესწავლამ გვიჩვენა, რომ ბატკნისა და ძროხის ნატურალურ (ორგანულ) ხორცს, ბალახით მდიდარი ულუფის გამო გააჩნია ცხიმჟავების 3-ჯერ მეტი და ვიტამინი E-ს უფრო მაღალი შემცველობა.

მოწინააღმდეგე: ბრიტანელი ფერმერები არ იყენებენ გასაზრდელ ჰორმონებს ამერიკელი კოლეგებისაგან განსხვავებით და არ აშენებენ პირუტყვს ინტენსიური მეთოდით. ალბათ უკეთესია სამრეწველო პირობებში გამოზრდილი პირუტყვის ყიდვა დიდი ბრიტანეთიდან, ვიდრე ტრადიციული წესით გამოზრდილისა დანარჩენი მსოფლიოდან.

რძე – ერთი ლიტრი ნახევრადმოხდილი ნატურალური (ორგანული) რძე – 55p*. ერთი ლიტრი ნახევრადმოხდილი რძე - 49 p.

ნატურალურ (ორგანულ) რძის პროდუქტებზე მოთხოვნა კვლავ იზრდება, მაშინ როცა არატრადიციული ბაზარი სტაბილურია. ნატურალური (ორგანული) რძის მომწოდებელი კოოპერატივების მონაცემებით 6 მილიონზე მეტი ბრიტანელი მოიხმარს ნატურალური (ორგანული) რძეს, თუ ის უფრო ფართოდ იქნება ხელმისაწვდომი.

მომხრე: აბერდინის უნივერსიტეტის კვლევის საბოლოო შედეგების მიხედვით, ნატურალური (ორგანული), ეკოლოგიურად სუფთა რძე შეიცავს 71%-ზე მეტ ნივთიერება ომეგა3-ს (Omega 3)* ან შეუცვლად ცხიმოვან მჟავებს. ომეგა3 ხელს უწყობს გულის ჯანმრთელობას, სახსრების მოქნილობისა და ძვლების სიმტკიცის შენარჩუნებას. ის ასევე კარგია ტვინის ფუნქციონირებისათვის. ომეგა3-ის მდიდარ წყაროს წარმოადგენს ცხიმოვანი თევზი, მაგრამ ეკოლოგიურად სუფთა ნატურალური (ორგანული) რძითა და რძის პროდუქტებით ჩანაცვლება ზრდის შეწოვის მაჩვენებელს.

მოწინააღმდეგე: FSA-ს ინფორმაციით, ყველა სახის დაშვებულ პესტიციდებზე დამტკიცებულია უსაფრთხოების ლიმიტები, რომლებიც ეფუძნება მეცნიერულ

მონაცემებს და გააჩნიათ ცდომილების დიდი ზღვარი. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გარკვეულ საკვებზე თავის არიდება პესტიციდური ნარჩენების შიშის გამო უფრო მეტ საშიშროებას წარმოადგენს ჯანმრთელობისთვის, ვიდრე არაორგანული მრავალფეროვნების არჩევა.

კვერცხი - საშუალო ზომის ნატურალური (ორგანული) ეკოლოგიურად სუფთა კვერცხი (ექვსი) £1.14. საშუალო ზომის კვერცხი (ექვსი) 84p.

ნატურალური (ორგანული) ეკოლოგიურად სუფთა კვერცხის მომწოდებლები აცხადებენ, რომ ზრდა ლიმიტირებულია და ასეთი კვერცხის გაყიდვის მაჩვენებელი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე დანარჩენის. ახალი ინტერნეტ მაღაზიის სერვისს **Waitrose** პარტნიორობით **www.ocado.com** აცხადებს, რომ სულ გაყიდული კვერცხის მხოლოდ ერთი მესამედი არის ნატურალური (ორგანული) ეკოლოგიურად სუფთა.

მომხრე: ნატურალურ (ორგანულ) ეკოლოგიურად სუფთა კვერცხში შეუცვლადი ცხიმოვანი მჟავების რაოდენობა მნიშვნელოვნად მაღალია. ისინი მიიღება ცხოველთა კეთილდღეობის უფრო მაღალი სტანდარტების მქონე ფერმებში და არ შეიცავენ ანტიბიოტიკების ნარჩენებს. ესპანელი მეცნიერების კვლევა გვიჩვენებს, რომ როდესაც ქათმები იკვებებოდნენ იმ ულუფებით, რომელშიც ბალახი შედიოდა, კვერცხში ვიტამინი E-ს შემცველობა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

მოწინააღმდეგე: დღეისათვის ბრიტანეთში გაყიდული 30 მილიონი ტრადიციული წესით წარმოებული კვერცხიდან რეალურად მხოლოდ მცირე ნაწილია ნამდვილად ნატურალური (ორგანული) და ეკოლოგიურად სუფთა. ქათამი შეიძლება მიჩნეულ იქნას ნატურალური (ორგანული), ეკოლოგიურად სუფთა კვერცხის მწარმოებლად ეკოლოგიურად სუფთა ულუფების მიცემიდან ექვსი კვირის შემდეგ. აგვისტომდე, სანამ წესები შეიცვლება, კვების რაციონში შეიძლება აღმოჩნდეს 20% ეკოლოგიურად საექვო შემადგენლობა. მომავალი იანვრისათვის, მწარმოებლებს მოუწევთ დამოხევევისთანავე ეკოლოგიურად სუფთა ულუფებით გამოკვებონ თავიანთი წიწილები და დაიცვან ვეტერინარული წესები, რომელიც კრძალავს ზრდის დამაჩქარებელი ანტიბიოტიკების გამოყენებას.

ვაშლი – ერთი პაკეტი ეკოლოგიურად სუფთა ვაშლი, - £1.99. ერთი პაკეტი პირველი კლასის ბრებორნის ჯიშის (*Braeburn*) ვაშლი- 1 £1.28.

მომხრე: კვლევებმა გამოაშკარავა, რომ ვაშლი შეიწოვს დიდი რაოდენობით პესტიციდს. ასევე ფორთოხალიც და ნესვიც. ქიმიკატები ხვდება კანშიც და რბილობშიც. ზოგიერთი ჯიშის ვაშლის ხე იწამლება 16-ჯერ 36 დასახელების შხამქიმიკატებით. ბოლო წლებში, დიდი ბრიტანეთში პერტიციდის ნარჩენები აღმოჩენილია საკვების ერთ მესამედში, მათ შორისაა: ვაშლი, პური, ხორბლეული, საღათის ფურცლები და კარტოფილი.

მოწინააღმდეგე: ქალბატონ სანოვას აზრით, მიუხედავად იმისა, ნატურალური (ორგანული) და ეკოლოგიურად სუფთაა თუ საექვოა დღიური ნორმით გათვალისწინებული ხილი და ბოსტნეული, მათი მიღება მაინც აუცილებელია. ბევრად უფრო მნიშვნელოვანია სასურველი კვებითი ღირებულების მქონე საკვების მიღება, ვიდრე ამა თუ იმ საკვების წარმოშობის საკითხი.

სტაფილო – ერთი კილო ეკოლოგიურად სუფთა სტაფილო-£1.02. ერთი კილო სტაფილო – 54p.

მომხრე: სამრეწველო წარმოებისას ბოსტნეულს წამლავენ ქიმიკატებით. დანიელი მეცნიერების კვლევამ გვიჩვენა, რომ ეკოლოგიურად სუფთა ულუფით (კარტოფილი, სტაფილო, მუხუდო და ვაშლი) გამოკვებილი ვირთაგვები ბევრად ჯანმრთელები იყვნენ, ვიდრე ჩვეულებრივ ან ნაკლებად სასუქიან ულუფაზე მყოფნი.

მოწინააღმდეგე: ადგილობრივად მოყვანილი, დროულად მოკრეფილი და რეალიზებული ბოსტნეული სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის. სჯობს სეზონზე იყიდოთ ადგილობრივი, ბრიტანული ბოსტნეული, ვიდრე ეძებოთ ეკოლოგიურად სუფთა კულტურა მთელ მსოფლიოში.

პური - ეკოლოგიურად სუფთა ბატონი პური - 53p, უმაღლესი ხარისხის ბატონი პური - 52p .

მომხრე: ეკოლოგიურად სუფთა პურში იგულისხმება პესტიციდებით შეუწამლავი მარცვლეული კულტურებისაგან გამომცხვარი პროდუქტი. ხორბლისთვის იყენებენ ნერვულ-დამაღამბლავებელი აირის შემადგენელ ორგანოფოსფატებს, რაც იწვევს სიმსივნეს, პარკინსონის დაავადებას და აქვეითებს მამაკაცის ნაყოფიერებას. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ პესტიციდის ნარჩენები შესულია გარემო ფაქტორებით გამოწვეული სიმსივნის სამ ყველაზე მაღალ რისკ ფაქტორში.

მოწინააღმდეგე: ეკოლოგიურად სუფთა თეთრი პურის ყიდვის არანაირი აუცილებლობა არ არსებობს. პესტიციდები თავს იყრის გარეთა კანში, რაც შეგვიძლია მოვაშოროთ.

გერმანია ლიდერია

ნატურალური (ორგანული, ეკოლოგიურად სუფთა) საკვების გლობალური ბაზრის ფასი შეადგენს £15 მილიარდს, ხოლო ევროპის ბაზარი - £7.2 მილიარდს. გერმანია არის ევროკავშირის წამყვანი ბაზარი, £2.1 მილიარდად შეფასებული საცალო ღირებულებით. 2003/04 წლებში ნატურალური (ორგანული) ეკოლოგიურად სუფთა საკვების პირდაპირმა რეალიზაციამ შეადგინა £100 მილიონი. ფერმერთა ბაზრები და მაღაზიები უფრო სწრაფად იზრდებიან (16%-ით £93.3 დან £108), ვიდრე სხვა საცალო მაღაზიები.

ნატურალური (ორგანული) ეკოლოგიურად სუფთა საკვები და სასმელი შეადგენს მთლიანი საცალო ბაზრის 1.2% -ს.

მიუხედავად იმისა, რომ ეკოლოგიურად სუფთა საკვების იმპორტი უკანასკნელი წლების მანძილზე საგრძნობლად შემცირდა, **Soil Association**-მა აღმოაჩინა, რომ 2003-04 წლებში იმპორტი 56%-ით სტატიკური დარჩა. ინგლისში გაყიდული ნატურალური (ორგანული) ეკოლოგიურად სუფთა ხორცის მეხუთედი იმპორტირებულია მაშინ, როდესაც კარტოფილის, სტაფილოს, ხახვის, ვაშლისა და მსხლის იმპორტს ახორციელებენ წამყვანი საცალო მოვაჭრეები სეზონის დროსაც კი. ეს ხდება მთავრობის მიერ შემუშავებული გეგმის მიუხედავად, საცალო მოვაჭრეების მხარდასაჭერად, იმ მიზნით, რომ იმპორტი 2010 წლისთვის შემცირდება 30 %-ით.

Soil Association –ის მონაცემების მიხედვით 2004 წლის რეგისტრირებული ბიოორგანული ფერმერების რიცხვი შეადგენდა 3,9-ს.

Soil Association- ის მონაცემების მიხედვით, დიდი ბრიტანეთში ბიოორგანულად დამუშავებული მიწის 55% მდებარეობს შოტლანდიაში (373,249 ჰა.,683 ფერმა), რაც შოტლანდიის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების თითქმის 7%-ს შეადგენს. დიდი ბრიტანეთის დანარჩენი ტერიტორიის მხოლოდ 4% წარმოადგენს ბიოორგანული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას.

"Tesko"- საფირმო სასურსათო მაღაზიების ქსელი.

ფასები მოცემულია *"Tesko"-საგან*

ჩარლზ ლეი

31 მაისი, 2005

Guardian Unlimited © Guardian Newspapers Limited 2006